# საქართველოს პოლიტიკური ელიტების ფორმაცია  პოლიტიკური იდეოლოგიების ცვლილების კვალდაკვალ 2003-2012 წლების მიხედვით

მარიამ ყველაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან თარხნიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს  სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

***მარიამ ყველაშვილი;***

***თბილისი, 2021 წელი***

# აბსტრაქტი[1]

XIX საუკუნის მიჯნაზე სოციოლოგიის სფეროში გამოჩნდა ელიტიზმის თეორეტიკოსების სამეული: ვილფრედო პარეტო, გაეტანო მოსკა და რობერტ მიხელსი, რომელთა დამსახურებაა პოლიტიკური მნიშვნელობით ელიტებისა და ლიდერების როლის განსაზღვრა. შემდეგში მათი კონცეფციები კრიტიკული თეორიების წამომადგენლებმა დემოკრატიული ელიტიზმის მიმდინარეობით განავითარეს. მიმდინარე ნაშრომში განხილულია საქართველოს 2003-2012 წლის პოლიტიკური ელიტების ფორმაცია, რომელიც ემთხვევა ელიტათა თეორეტიკოსების მიერ აღწერილ მახასიათებლებს. მიმდინარე ნაშრომი ნაწილობრივ იყენებს სზელენის კვლევის მიდგომას, რომელიც აანალიზებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გათავისუფლებულ ქვეყნებში სოციალისტური ელიტებიდან პოსტკომუნისტური ელიტაში გადასვლას, ელიტების ცირკულაციას, ტრანსფორმაციას და ელიტების წარმოშობის წყაროებს. მიმდინარე კვლევა დაფუძნებულია თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებზე. კერძოდ კი გამოყენებულია დისკურსის ანალიზი და ბიოგრაფიულ-ნარატიული ანალიზი.

თანამედროვე, მოდერნული საქართველო დამოუკიდებლობის დღიდან უამრავი პოლიტიკური ელიტების ცვლილების მოწმე გახდა, რომლებიც იცვლებოდნენ პოლიტიკური იდეოლოგიების კვალდაკვალ. პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიადან დაწყებული ამჟამინდელ პრეზიდენტამდე, სალომე ზურაბიშვილამდე, ყველა პარტია განსხვავებულ პოლიტიკურ რელსებზე იდგა.

კვლევამ ცხადყო, რომ მიუხედავად 2003 წლის პოლიტიკური ელიტის რევოლუციური გზით მოსვლისა მთავრობაში და დემოკრატიული პრინციპების დანერგვისა, საბოლოოდ მათ მაინც ავტოკრატიული მმართველობით დაასრულეს. მაშინ, როდესაც 2003 წლის პოლიტიკური ელიტა გახრწნის გზაზე იდგა, მის ადგილას აღმოცენება დაიწყო „ახალმა“ 2012 წლის პოლიტიკურმა ელიტამ, რომელიც დემოკრატიული ღირებულებების

[1] აბსტრაქტის ნაწილი შესაძლოა შეიცავდეს აბზაცებს, რომელიც აღებულია ჩემ მიერ აკადემიური წერის კურსის ფარგლებში 2020-2021 წელს შესრულებულ ნაშრომიდან *„ქართული პოლიტიკური ელიტების ფორმაცია პოლიტიკური იდეოლოგიების ცვლილებების კვალდაკვალ 2003-2012 წლების მიხედვით“.*

გაძლიერებასა და ახალი პოლიტიკური ცვლილებისკენ იყო მიმართული, თუმცა ისინიც ავტორიტარული რეჟიმისკენ იხრებიან. ელიტების ცვლილებების პროცესში კი ხდება ელიტების ცირკულაცია და ჩანაცვლება.

***ძირითადი საძიებო სიტყვები:*** *2003 წლის პოლიტიკური ელიტა; 2012 წლის პოლიტიკური ელიტა: დემოკრატია, ვარდების რევოლუცია; არჩევნები; კორუფცია; პარლამენტის ელიტა; ძირითადი სამინისტროების მინისტრები; კონტრ-ელიტა*

# ABSTRACT

At the turn of the nineteenth century, a trio of elitist theorists appeared in the field of sociology: Wilfredo Pareto, Gaetano Mosca, and Robert Michels, whose merits were to define the role of elites and leaders in political terms. Later, their concepts were developed by representatives of critical theories through democratic elitism. The present paper discusses the formation of Georgia's political elites in 2003-2012, which coincides with the characteristics described by elite theorists. The present paper partly uses Ivan Szeleny's iresearch approach, which analyzes the transition from socialist elites to post-communist elites in countries liberated after the collapse of the Soviet Union, the circulation of elites, the transformation, and the origins of elites. Current research is based on qualitative and quantitative methods. In particular, discourse analysis and biographical-narrative analysis are used.

Modern Georgia has witnessed the change of many political elites since the day of independence, changing in the footsteps of political ideologies. From the first president Zviad Gamsakhurdia to the current president, Salome Zurabishvili, all parties stood on different political rails.

The study found that despite the revolutionary political elite coming to power in 2003 and introducing democratic principles, they eventually ended up in autocratic rule. While the political elite of 2003 was on the verge of decay, it was replaced by the "new" political elite of 2012, which was aimed at strengthening democratic values and new political change, although they also leaned towards an authoritarian regime. In the process of elite change, elites are circulated and replaced.



**Keywords:** *2003 Political Elite; Political Elite of 2012: Democracy, the Rose Revolution; Elections; Corruption; Parliamentary elite; Ministers of major ministries; Counter-elite.*

# მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს - ლევან თარხნიშვილს, რომელიც ნაშრომის შესრულების პროცესში აქტიურად იყო ჩართული და მაწვდიდა მნიშნელოვან სამეცნიერო ნაშრომებს. მისი რჩევები, კონსულტაციები და შენიშვნები დამეხმარა ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

აქვე მინდა მადლობა ვუთხრა ოჯახის წევრებს: დედაჩემს, მზია ქანთარიას, რომელიც ყოველთვის მზად იყო ელიტების განხილვისას უცნობი ისტორიული პერსპექტივები გაეხსენებინა და გაეცნო ჩემთვის. განსაკუთრებით მადლობა ჩემს ძმას, ზურა ყველაშვილს, რომლის კრიტიკული მოსაზრებები მეხმარებოდა ანალიზის წერის პროცესში.

გარდა ამისა, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო აკადემიური წერის ლექტორს - სალომე პატარიძეს, რომელიც თემის არჩევიდან დაწყებული ნაშრომის ტექნიკური საკითხებით დამთავრებული მუდმივად მიწევდა კონსულტაციებსა და რჩევებს. ნებისმიერ წვრილმანზე მეხმარებოდა და მუდმივად მზად იყო ჩემი კითხვების მოსასმენად.